სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-02/144

ქ. თბილისი

28 ოქტომბერი 2026წ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2026 წლის 20 ოქტომბრის საბჭოს სხდომის №6 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 28 ოქტომბრის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**